ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**ბონდო მამულაშვილი**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2019 – 01.11.2020
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს თავმჯდომარე;
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი 2. საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი
დროებითი სამუშაო ჯგუფები:	1. სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 (13 რიგითი, 11 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 23 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 24 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 23 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 67;

  განკარგულება - 136.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

    ჩატარდა: - 13 სხდომა; დასწრება: - 13 სხდომა

  - სოციალურ საკითხთა კომისია:

    ჩატარდა: - 5 სხდომა; დასწრება: - 4 სხდომა

  ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“

    ჩატარდა: - 1 სხდომა; დასწრება: - 1 სხდომა

  გ) სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

    ჩატარდა: - 1 სხდომა; დასწრება: - 1 სხდომა

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში**

  1. მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი
  2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი
  3. ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“-ს სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2019-2020 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს წევრები აქტიურად არიან ჩართულნი ფრაქციის მუშაობაში. განვლილ საანგარიში პერიოდში ჩემს მიერ ჩატარებულ ფრაქციის სხდომაზე ვიმსჯელეთ ფრაქციის პრიორიტეტებზე, გამწვანებისა და ეკოლოგიის მიმართულებით ქალაქში არსებულ გამოწვევებსა და მათი ერთობლივად გადაჭრის გზებზე, პროცესში საზოგადოების ჩართულობასა და სპეციალისტების გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე.

ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს პრიორიტეტია ტყეების და ტყე-ჭალის გარმოსდაცვითი და რეკრეაციული ფუნქციის შენარჩუნების პრიორიტეტად აღიარება, ტყით სარგებლობის თანამედროვე მეთოდების დანერგვა; ტყის რესურსების სრული ინვენტარიზაცია და ტყეთმოწყობის სამუშაოების განხორციელება, ხანძარსაწინააღმდეგო, დაავადებებისაგან დაცვისა და ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელება. გარემოსდაცვითი საკითხების სავალდებულო გათვალისწინება ურბანული დაგეგმვისა და მშენებლობის პროცესში.

როგორც სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ ჩავატარე სხდომა, რომელზეც ვიმსჯელეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება. სწორედ ამ მიზნით ჩვენი სამუშაო ჯგუფის აქტიური ჩართულობით:

1. გარემონტდა კრივის დარბაზი
2. მკლავჭიდელებს გამოეყოთ შესაბამისი ფართი, სადაც ისინი შეძლებენ სრულყოფილ ვარჯიშებს
3. დაიწყება ნიჩბოსნობის ბაზის მშენებლობა
4. ვაპირებთ კრივის დარბაზის გვერდით არსებულ ფართზე მოკრივეებისათვის, მოჭიდავეებისათვის საერთო ფიზ.მომზადების დარბაზის გაკეთებას და შესაბამისი ინფრასტრუქტურით მოწყობას
5. განათლების სამინისტროში გაგზავნილ წერილზე, რომლითაც ვითხოვდით სასკოლო სპორტული ინფასტრუქტურის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, მივიღეთ თანხმობა.

როგორც ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, აქტიურად ვესწრები კომისიის სხდომებს და ვღებულობ მონაწილეობას საკრებულოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების პროექტების წინასწარ განიხილვაში, საჭიროების შემთხვევაში მივუთითებ მათში შესაბამისი კორექტირების შეტანის თაობაზე.

მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარეობდა სისტემატიურად, COVID-**19** პანდემიის პერიოდში კი ონლაინ რეჟიმში.

საანგარიშო დროის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილებით, ჩემი უფლებამოსილების ვადაში, კვლავ გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას.

თარიღი: 30.10.2020

ხელმოწერა: ბონდო მამულაშვილი